დანართი №2

პროექტის აღწერის ფორმა

1. **ვანის** მუნიციპალიტეტი

2. **პროექტის დასახელება**

ხანძრის შედეგად დაზიანებული ვანის სპორტული სკოლის შენობის აღდგენითი სამუშაოები

3. **თემატური მიმართულება**

პრიორიტეტი 2. ჯანსაღი, უსაფრთხო და სოციალურად განვითარებული საზოგადოება

4. **სტრატეგიასთან კავშირის აღწერა**

რეგიონის განვითარების სტრატეგია:
მიზანი 4. განათლების, კულტურისა და სპორტის განვითარება
ამოცანა 4.6. რეგიონის კულტურული და სპორტული ინფრასტრუქტურის, საკლუბო დაწესებულებების, საგამოფენო დარბაზების განვითარება და არსებულის რეაბილიტაცია
სხვა სტრატეგიული დოკუმენტები: არა

5. **პროექტის აღწერილობა**

-გადასაჭრელი პრობლემა/საჭიროება: ქ. ვანში თავისუფლების ქუჩაზე არსებული სპორტკომპლექსის სპორტული სკოლის შენობას მიმდინარე 2020 წელს მომხდარი ხანძრის შედეგად გაუნადგურდა მეორე სართული სრულად და პირველი სართულის გარკვეული ნაწილი. ასევე დაზიანდა სპორტული დარბაზის ბრტყელი გადახურვა. სპორტულ შენობაში განთავსებულია სპორტული დაწესებულების 2 ა(ა)იპ: „ვანის სპორტული დაწესებულება“ და სარაგბო გუნდი „აიეტი“. ფუნქციონირებს 10-მდე სხვადასხვა სპორტული ჯგუფი, სადაც გაერთიანებულია 300-მდე ბავშვი.

ხანძრის შედეგების აღმოფხვის შემდეგ სრულფასოვან ფუნქციონირებას შეძლებს სპორტული დაწესებულებები და სპორტული ჯგუფები.

- პროექტის მოკლე აღწერა: პროექტით გათვალისწინებულია გადახურვის სრული რეაბილიტაცია. დაზიანებული კედლების დემონტაჟი და ახლის მშენებლობა, გათბობის, ელექტროგაყვანილობის და იატაკის მოწყობა, პროექტის განხორციელებით გადაიჭრება ხანძრამდე შენობაში განთავსებული დაწესებულებებისა და ჯგუფების სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის ხელისშემშლელი გარემოება.

-პროექტის შესაძლო უარყოფითი გავლენა: პროექტის განხორციელების შედეგები უარყოფით გავლენას არ იქონიებს გარემოზე (ეკოლოგია).

-მოსალოდნელი სარგებელი: მოწესრიგებული სპორტული ნაგებობა და ინფრასტრუქტურა, მაღალი დონის მომსახურების გაწევა როგორც სპორტულ ჯგუფებში გაერთიანებულ ახალგაზრდებისთვის ასევე სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეთათვის.

გაუმჯობესდება სპორტული ინფრასტრუქტურა და გაიზრდება მოსარგებლეთა (ბენეფიციარი) კმაყოფილების დონე.

-პროექტის მოსარგებლეები (ბენეფიციარი): პროექტის განხორციელების შედეგად მიღებული სპორტული შენობით და გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურით მოსარგებლეები და მიზნობრივი ჯგუფებიდან არის 500 პირდაპირი და 2750 არაპირდაპირი მოსარგებლე (ბენეფიციარი). გენდერულ და შ.შ.მ. პირთა მიმართ პროექტი არ არის დისკრიმინაციული.

-პროექტის დაფარვის არეალი: პირდაპირი მოსარგებლეები (ბენეფიციარები) არიან ვანის მუნიციპალიტეტის თითქმის 15-მდე ადმინისტრაციული ერთეულის მცხოვრები.

--პროექტის განხორციელების გზები: პროექტს სხვა პროექტებთან არანაირი პირდაპირი და არაპირდაპირი კავშირი არ გააჩნია და არ არის დამოკიდებული წინა განხორციელებულ ან მომდევნო წლებში განსახორციელებელ პროექტებთან. პროექტის დასრულების შემდეგ სპორტული სკოლის შენობის და ინფრასტრუქტურის ოპერირებასთან დაკავშირებული ხარჯები გაწეული იქნება ვანის მუნიციპალიტეტის მიერ, პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები განხორციელდება:

- მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ ქონებაზე, ,
- მაღალ დონეზე დამუშავებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით
- კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობების დაცვით

-პროექტის გამართულობა: პროექტი შეესაბამება რეგიონული განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმით მოთხოვნილ დაგეგმვისა და განხორციელების კრიტერიუმებს, მიზნებსა და ამოცანებს. ყველა ეტაპზე დაცული იქნება პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ყველა ეტაპის გავლა, კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ტექნიკური და ფინანსური მოთხოვნა.

6. სავარაუდო ღირებულება

484108 ლარი

7. პროექტის ხანგრძლივობა

პროექტის დაწყების თარიღი	პროექტის დასრულების თარიღი	პროექტის ხანგრძლივობა (თვეები)
2020 წ.	2020 წ.	7 თვე

8. დაფინანსების წყაროები (პროცენტული წილი)

რგპფ	მგფ	მუნიციპალიტეტი	სამინისტრო (დასახელება)	დონორი (დასახელება)
100 %	-	0%	-	-

9. პროექტზე პასუხისმგებელი დაწესებულება

ვანის მუნიციპალიტეტის მერია

10. პარტნიორი ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში)

არ არსებობს

11. პირველი დონის ფილტრი

კრიტერიუმი	პასუხი	კრიტერიუმი	პასუხი
პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის ხედვებთან, საქართველოს რეგიონული განვითარების სტრატეგიის ამოცანებთან ან რეგიონული განვითარების პროგრამაში ასახულ, სულ ცოტა, ერთ საჭიროებასთან/პრიორიტეტთან და შესაბამისი რეგიონის განვითარების სტრატეგიასთან	დიახ	პროექტის განხორციელება არ ახდენს გავლენას მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობაზე	დიახ
პროექტი ექცევა საქართველოს ორგანული კანონით ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსით" გათვალისწინებულ მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში	დიახ	პროექტი არ ახდენს არსებით უარყოფით ზეგავლენას გარემოზე	დიახ
ადგილი არ აქვს სხვა პროექტებისა და აქტივობების დუბლირებას	დიახ	დასაფინანსებელი პროექტების განხორციელების ვადა სამ წელზე მეტი არ არის	დიახ
პროექტის დასრულების შემდეგ, არსებობს მისი მათვისა და მოვლა-შენახვის ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსების შესაძლებლობა	დიახ	დასაფინანსებელი პროექტის ღირებულება არ არის 50 000 ლარზე ნაკლები და არ აღემატება 5 მილიონ ლარს	დიახ
პროექტის განხორციელება არ იწვევს ეკონომიკური აქტივობის არსებით შემცირებას	დიახ		

12. მეორე დონის ფილტრი

კრიტერიუმი	ქულა 1-დან 5- მდე
პროექტის ბენეფიციართა რაოდენობა	4
წინა პროექტზე დამოკიდებულება	5
სხვა პროექტებთან პროგრესული კავშირის არსებობა	3
პროექტის მასშტაბი	4
პროექტის თანადაფინანსება	0

13. პროექტის ქულა

ფილტრი №1 (9 „დიახ")	ფილტრი №2-ის ქულა
9	16

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე: /ალ. ლილუაშვილი/

12 თებერვალი 2020 წ.

ბ. ა.